სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი

სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი აცხადებს ღია კონკურს:

სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ტერიტორიის განაშენიანების, სპორტული დარბაზებისა და საოფისე ფართის ფასადებისა და ინტერიერის დიზაინზე. კონკურსანტს ეძლევა შემოქმედებითი მიდგომის სრული თავისუფლება განათავსოს საკონკურსო შენობა–ნაგებობები ცენტრის დღევანდელ სიტუაციურ გეგმაში.

ზოგადი ნაწილი

1. კონკურსის მიზანია ცენტრში მცხოვრები და შეკრებაზე მყოფი სპორტსმენებისათვის დასვენებისა და სავარჯიშო პირობების გაუმჯობესება.
2. კონკურსის ამოცანაა გამოავლინოს საუკეთესო ნამუშევარი, შემდგომში საპროექტო სამუშაოების განსახორციელებლად;

კონკურსის პირობები:

1. საკონკურსო შენობების აღქმის წერტილები უნდა შეირჩეს ტერიტორიის გეგმარებითი მდგომარეობის გადაწყვეტით;
2. საკონკურსო შენობების შერწყმა არსებულ ლანდშაპთან;
3. ოლიმპიური მზადების ცენტრის ერთიანი იერსახის ჩამოყალიბება;
4. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს

კონკურსში მონაწილეობის საფასური

1. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი (50 ლარი) ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).
2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი

დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ზემოაღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ზემოთმითითებული პირობებით გათვალისწინებულ საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის საბუთს არ განიხილება.

კონკურსის კომისია

კომისიის წევრების შემადგენლობის შერჩევა, უზრუნველყო სსიპ–საქართველოს ოლიმპიური რეზერვებისა და მზადების ეროვნულმა ცენტრმა და დამტკიცებულია მისი დირექტორის 2011 წლის №2/05 ბრძანებით

კომისიის წევრები:

1. კომისიის წევრებს არ აქვთ კონკურსში, ნებისმიერი სახით მონაწილეობის უფლება;
2. კომისია ადგენს საკონკურსო მასალების შესაბამისობას კონკურსის პროგრამა-პირობებთან და ამზადებს სათანადო ოქმს;
3. კომისია ხმათა უმრავლესობით, ღია წესით, იღებს გადაწყვეტილებას ერთი საუკეთესო გამარჯვებული პროექტის გამოვლენის თაობაზე და ამზადებს სათანადო ოქმს;

კონკურსის პრემია

1. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორისათვის დაწესებულია ერთი ფულადი პრემია 1500 (ერთიათასხუთასი) ლარის ოდენობით.

2. პრემიის დაბეგვრის თანხას, მოქმედი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს სსიპ–საქართველოს ოლიმპირი რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი.

კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკონკურსო მასალები:

1. განმარტებითი ბარათი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს თითოეული საკონკურსო შენობების გადახურვისა და გარე მოსაპირკეთებელი მასალების აღწერა, მითითება.
2. შენობების 3 განზომილებიანი ვიზუალიზაცია.

    ა. დახურული სტანდარტული საცურაო აუზი, ფასადის დიზაინი;
    ბ. საშეჯიბრო დარბაზი (1000 მაყურებელზე). მინი–ფეხბურთის, ხელბურთის, კალთბურთისა და ფრენბურთის კომბირირებული მოედნებით. ფასადისა და ინტერიერის დიზაინი;
    გ. 2 სართულიანი სავარჯიშო დარბაზისა და ცენტრის თანამშრომლებისათვის საოფისე ფართის (200-300 კვ.მ) ერთიანი კომპლექსი, ფასადისა და ინტერიერის დიზაინი;
        - ჭიდაობის 3 ხალიჩიანი სავარჯიშო დარბაზი, H=6მ
        - ძიუდოს 3 ტატამიანი სავარჯიშო დარბაზი H=6მ
        - კრივის 2 რინგით აღჭურვილი დარბაზი =6მ

- ძალოსნობის სტანდარტული დარბაზი (10 პამოსტით) H=6მ
- ტანვარჯიშის კომპლექსური სპორტული დარბაზი H=12 მ
- ფინტესისა და ფიზმომზადების დარბაზი H=6მ
- საოფისე ფართი (200-300 კვ.მ)

დ. სამედიცინო ცენტრის (გათვლილი 2000 კვ.მ) ფასდადის დიზაინი;
ე. ღია საჩოგბურთო, საფეხბურთო და საკალათბირთო მოედნები;
ვ. მშვილდოსნობის სავარჯიშო, ღია სტენდის მოწყობა;
ზ. ბაზის მთლიან პერიმეტრზე სავარჯიშო სარბენი ბილიკის მოწყობა;
თ. ბაზის ტერიტორიის კეთილმოწყობა და განაშენიანება.

3. ტერიტორიაზე არსებული შენობების, საკონკურსო შენობა–ნაგებობებისა და არსებული საფეხბურთო მოედნების ერთ ანიმაციურ ვიდეო რგოლად წარმოდგენა;

4. დალუქული კონვერტი (დალუქულ კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს დევიზი, ხოლო კონვერტში დაფიქსირებული ნამუშევრის ავტორის/ავტორების ვინაობა, სახელი, გვარი, მისამართი, რეკვიზიტები ტელეფონი) CD ვერსია, მასალები წარმოდგენილი უნდა იქნას აგრეთვე ელექტრონული ვერსიით. ასევე შესაძლებელია მასალები წარმოდგენილი იყოს მსუბუქ პლანშეტებზე (3-6 მმ.) ზომით 80X100 (სათანადო საკიდებით); თითოეული პლანშეტის ზედა მარჯვენა კუთხეში უნდა დაიწეროს დევიზი, პლანშეტის ქვედა მარჯვენა კუთხეში კი პლანშეტის ნუმერაცია; ყოველ წარმოდგენილ მასალაზე დაფიქსირებული უნდა იყოს დევიზი

კონკურსის ჩატარების კალენდარული გეგმა

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და ტერიტორიის დათვალიერება შეუძლიათ სსიპ - ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში 2011 წლის 7 მარტიდან 20 მარტის ჩათვლით, 11 სთ-დან 15-სთ-მდე, მისამართი ქ.თბილისი თიანეთის გზატკეცილი №25. ტელ 68 79 30
2. საკონკურსო მასალები მიიღება სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში; მისამართი ქ.თბილისი თიანეთის გზატკეცილი №25, 2011 წლის 12 და 13 აპრილს 11.00 სთ-იდან 17.00 სთ-მდე, დაგვიანებით წარმოდგენილი ნამუშევრები არ მიიღება.
3. საკონკურსო ნამუშევრები გამოიფინება 2011 წლის 14 აპრილს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, მისამართი: თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №9
4. კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრები და ავტორ(ებ)ი, გამოცხადდება 2011 წლის 20 აპრილამდე.

კონკურსში მონაწილეთა საავტორო უფლებები

გამარჯვებული ნამუშევარი გადადის კონკურსის ორგანიზატორების საკუთრებაში, ხოლო არაპრემირებული საკონკურსო მასალები უბრუნდებათ ავტორებს კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან მომდევნო 3 დღის განმავლობაში
კონკურსში მონაწილეთა საავტორო უფლებები რეგულირდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკონტქტო პირი: კომისიის წევრი რამაზ ღვინეფაძე
ტელ. 68-79-30 10სთ-18 სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა.
მობილური 899 45-63-39 დღის ნებისმიერ დროს.
ელ.ფოსტა olympiccentre@yahoo.com

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესახებ პროექტი

--------- ---------- 2011 წ.

ქ.თბილისი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება კონკურსის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ კონკურსანტთან

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *ს.ს.ი.პ. – “საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი”* (შემდგომში „შემსყიდველი“) ----------

<u>მდებარე ქ.თბილისი, თიანეთის გზატკეცილი №25</u>
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) *მის* ---------- შორის

<u>მდებარე</u>----------
(მიმწოდებელის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ს.ს.ი.პ. – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის მიერ ტერიტორიის განაშენიანების, სპორტული დარბაზებისა და საოფისე ფართის ფასადებისა და ინტერიერის დიზაინზე ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებულის დაჯილდოვება.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. საკონკურსო მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1500 (ერთიათასხუთასი) ლარს.საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურეობის სრული ღირებულება ამ ხელშეკრულების დადგენილი წესით და კონკურსის პირობებით.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხარეთა შორის "მიღება-ჩაბარების" აქტის არსებული წესით დამოწმებით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის პარალელურად განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

8. მომსახურების გაწევის ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2.ანგარიშსწორება გამარჯვებულ კონკურსანტთან მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ათი საბანკო დღის განმავლობაში .

9.3.ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი სამუშაოს ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

14.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) შემსყიდველის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი არ უზრუნველყოფს თავისი მიზეზით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დადგენილ ვადებში და ხარისხოვნად შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის მიერ იმ შემთხვევებში, როდესაც შემსყიდველი არ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობების შესრულებას.

15.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15.7 ხელშეკრულების დამრღვევი ერთი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის მიზეზებზე, საკითხის გადაუწყვეტობის შემთხვევაში ხელშეკრულების გაუქმება მოხდება 10 დღის ვადაში.

16. დავების გაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის ----------

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

17.3. იურიდიული მისამართის ან საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან სამი დღის ვადაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

18. რეკვიზიტები

.